№ 270 24 დეკემბერი, პარასკევი. 1866—1882 24 დეკემბერი, პარასკევი. № 270.

დროება

ᲒᲐᲛᲝᲬᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲬᲠᲘᲜᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია

[illegible] ᲕᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲐᲜ [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

[illegible] „[illegible]“ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible]: Въ Тифлисъ. въ редакцію „Дроэба“.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲤᲐᲡᲘ:

[illegible] . . . 9 [illegible]. [illegible] . . . 3 [illegible].
[illegible] . . . 5 [illegible]. [illegible] . . . 1 [illegible].

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ

[illegible] 1 [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] 8 [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [

ჩვეულნი, რომ იმითი თავი ირჩინონ და ცოლ-შვილი არჩინონ.

ორი რამ შეიძლებოდა ამ მთის ხალხს შესწევნოდა, რომ გზის მჩენებელი და ცოტაოდე გულ-შემატკივარი გამოსჩენოდა. ეს ორი საქმე ქვის თლა და კალატოზობაა.

დღემდე რუსეთის გზის მუშაობა კედლის შენება, კლდის მოჭრა და ქვის თლა მოხეველების საქმეა. მაგრამ, გზის ინჟინერების წყალობით და ადგილობრივ ხალხის გულ-შეუტკივრობით, არაფერი შესამჩნევი სარგებლობა არ მიეცა ამ ხალხსა. უმთავრესი თავზე მდგომი ოსტატები ბერძნები მოჰყავდათ, რომელნიც ფოდრათებში ბელს ითბობდნენ და სხვებსაც ათბობინებდნენ. თითონ ეს ბერძნები მხოლოდ თავს ადგენენ და რაც უფრო გამოსარჩომი მუშაობა იყო, თან მოყვანილ ტრაპიზონის ბერძნებს უკერძებდნენ; დანარჩენ საქმეს, რომელსაც უფრო ნაკლები გამორჩენა ჰქონდა და მეტი შრომა, სულ ადგილობრივ სოფლის ხალხს აძლევდნენ.

თუმცა ამდენს ხანში რუსეთის გზაზე მუშაობას შეეძლო კარგი ქვის მთლელები და კარგი კალატოზები გამოეყვანა ადგილობრივ მოხევეებისა და არაგველებისაგან, მაგრამ თითქოს განგებ მათ გზა ჰქონდათ შეკრული ამ ინჟინერების წყალობითა, თუმცა კი უმაღლესი მთავრობა ამ საგანში იმ აზრისაა, რომ გზების მუშაობა ადგილობრივ ხალხს მიეცეს. აქედამ წარმოსდგა ისა, რომ ტრაპიზონის ბერძნები გაოსტატდნენ ჩვენში მუშაობითა, ქალაქებში სამუშაო იშოვეს, და ჩვენი ადგილობრივი მოხევე-არაგველები კი ისევ ისე დარჩნენ ხელ-ცარიელნი.

ამ გვარად, იქ, საცა გაგაკვირვებს ადგილობრივ ხალხის ძველის და ახალის შენობების, ციხე-ეკკლესიების და სახლ-კოშკების ხეოოვნება, ნაშენობა, ქვის თლა და ამაების სიმაგრე და მოწყობილება,—დღეს უდიდეს და გათქმული ავკასიის გზაზე, ეს მცხოვრებნი წინ კი არ წავიდნენ, ინჟინერების წყალობით, უკან დარჩნენ, და მოყვანილმა ბერძნებმა ირგეს და გამოიწვრთვნენ. ჩვენებურები მოუდგნენ საცოდავ ურემსა და ქირებზე იარეს ქალაქიდამ ავკავს. გაწრთვნილმა იმათს გზაზე ბერძნებმა დაიწყეს მთელ ჩვენი მხრის ქალაქებში სიარული ქვის თლაზე დამდიდრდებიან.

დღეს ქირაზე სიარული თავდება. მოხევე—არაგველებმა უნდა იზრუნონ ამ საქმეზე, რომ ერთად-ერთ სახსარს ხელი მოჰკიდონ და ბერძნების ადგილი დაიჭირონ. ქვის მთლელობა და კალატოზობა ჩვენში კარგათა ფასობს. თუკი ტრაპიზონიდამ ქვის მთლელი ბერძნები და თაერიზიდამ კალატოზი თათრები ჩამოვლენ ჩვენს ქალაქებში და სარგებლობას ნახვენ, ჩვენი ქართველები არაგვიდამ და თერგიდამ მოსულები ვერ ნახვენ? ამისთვის იმათ ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ორ ხელობას, თვარემ სხვა საქმის გაჩენა ჯერ ვინ იცის.

ამასთანავე მომატებული ყურადღება არის საჭირო გზის ინჟინერებისა და ყურის მგდებელ მთავრობისა. მათ ხელი უნდა მოუმართონ ადგილობრივ ხალხსა; იმათი ხელ-მოკლეობა მთავრობისთვისაც დანაკლისი იქნება, რადგანაც სახელმწიფო ხარჯს ვერ გადიხდიან. როდესაც ხალხი შეძლებული იქნება, რასაკვირველია, მეტს ხარჯსაც აუვა და ადვილადაც გადიხდის. ამასთანავე ადგილობრივი მცხოვრებელი საქმეს უფრო ნაკლებ ფასად გააკეთებს, ვიდრე მოსული.

ბ. უ.

დღიური

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია:

„ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ბატჩინოს სასახლეში, ბათუმის სამხედრო გუბერნატორისაგან, ბატ. სმეკალოვისაგან იქმნენ წარდგენილი მათი იმპერატორებითი დიდებულების ხელმწიფეს და იმპერატრიცის წინაშე, ბათუმის მაზრის ორი ბეგი: ჰუსეინ-ბეგ-სარჯაყ-ბეგ-ზადე აბაშიძე და ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძე. ხსენებული ბეგები ირიცხებოდნენ ოსმალეთის აფიცრებად; რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ, ისინი მიიღეს მილიციაში მაიორებად.

„რუსეთის ახალი ქვეშევრდომნი მათ დიდებულების წინაშე გამოცხადდნენ მილიციის ტანისამოსში. რადგანაც რუსული ენა არ იცოდნენ, ამის გამო მთარგმნელად თავადი ანჩაბაძე ჰყვანდათ და სიხარულით მიესალმნენ იმპერატორს და იმპერატრიცას და გამოუცხადეს მათ დიდებულებას თავიანთი ქვეშევრდომობითი გრძნობა. მათ დიდებულებამ მიიღეს მოწყალეს თვალით და გააბედნიერეს თავისთან ლაპარაკით და საქმეების გამოკითხვით. ბეგები მადლობდნენ ალლაჰსა ამ ბედნიერებისათვის და გამოაცხადეს, რომ, როცა დაბრუნდებიან თავის ქვეყანაში, ყველას უანბობენ ამ ბედნიერს გარემოებას. წარდგენის შემდეგ ბეგებისათვის გამართულ იქნა შეჯლისი.

* * *

ბუშინასწინ, ბ. აბაშიძის ბენეფისზედ, ძალიან ცოტა ხალხი შეიყარა; ჩვენ ეს შემთხვევა მივაწერეთ იმას, რომ ბ აბაშიძემ დასდგა „რევიზორი“, ჩვენის საზოგადოებისაგან რამდენჯერმე ნახული. ბ. აბაშიძე, უეჭველია, ჰფიქრობდა, რომ მოთამაშეთ პირების შეცვლით, როგორც ბ. ციფიანის გამოსვლა ბოროდნიჩის როლში და ბ. მესხის ოსიპის როლში, ხალხს მიიზიდავდა; მაგრამ სამწუხაროდ, იმედი არ გაუმართლდა, თუმცა ჩინებულნი იყვნენ, ნამეტნავად ბ. აბაშიძე.

ჩვენი საზოგადოება ერთობ დაჩვეულია ახალ-ახალ პიესებს და ძველი პიესის წარმოდგენის დროს, სამწუხაროდ, ისეთს არტისტსაც კი ივიწყებენ, როგორიც არის ბ. აბაშიძე. ამ მოთამაშეს შეეძლო ისეთი პიესა დაედგა, რომელიც შემოსავალს მისცემდა და ხალხსაც მიიზიდავდა, მაგრამ ბ. აბაშიძე არტისტი არის სულით და გულით, თავის საბენეფისოდ უნდოდა რიგიანი პიესა ეძღვნა საზოგადოებისათვის.

ეს კარგად დაინახა ამ წარმოდგენაზედ მოსულმა საზოგადოებამ და საჩუქრებით, და მრავალჯერ ტაშის კვრით გამოწვეული ნიჭიერი არტისტი ღირსეულად დააჯილდოვა.

* * *

ბუშინდელს ფელეტონში (ბამბეტტას მოკლე ბიოგრაფიაში) ჩვენ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა, რომ ის დაიბადა 1838 წელს 3 აპრილს; მაშა სადამე, როგორც დღევანდელს ტელეგრამმაშიაც არის მოხსენებული, ორმოცდა-ოთხის წლისა მომკვდარა.

«დროების» ფელეტონი, 24 დეკემბ.

წინასიტყვაობა

ვიცი, კაცმან სიყვარული
რაზომც მალოს, არ იმალვის;
მისგან ვინცა დასნეულდეს,
ექიმისგან არ იწამლვის.
არა ჯერ-არს სხვისგან მორჩეს,
რა მით გული გაიმსჭვალვის
მხოლოდ მაშინ განიკურნვის,
როცა მიჯნურს შეებრალვის.

*

ყველამ უნდა შეეიბრალოთ,
ვის მიჯნური არ ჰყავს სწორი;
თუ გონებით ისე შორან,
ვით მიწასთან ცა არს შორი.
მაშინ ეურჩევ პირველს მათგანს,
შეიკაზმოს ვირი, ჯორი
შორე სადმე გაემგზავროს,
მით საქმე ქნას მოსალორი.

*

უსწავლელსა ცოტა რამე
მე მიჯნურმა დამასწავლა,
მის სახსოვრად სახლს ავაგებ,
თუ საწუთრომ დამაცალა.
სახლის გასაშენებლადა
მომდევს ეხლა ღონე, ძალა
საკმაოდ მაქვს ქვა და კირი,
არ მაკლია სხვა მასალა.

*

თუმცა ვიცი, კალატოზსა
ცოტა სწავლა არ არგია;
უშნოდ სახლი გააშენოს,
არა ვისთვის არ ვარგია;
მაგრამ სადაც არ არს კარგი,
იქ უარგიც რამ კარგია—
აწ დავიწყებ მე შენობას,
ეს იმედი თუ მარგია.

*

ეხლა მინდა იგი სახლი
ამ ქაღალდზე დავაშენო,
შიგა დავსვა სულის მეფა
და ვით ეზო დავამშვენო.
ჩემი შრომა და ხელობა,
დროა, მიჯნურს რომ ვაჩვენო
და ამიტომ არ მარგია,
პირველ მუზა არ ვახსენო.

*

ჩემო მხსნელო, ჩემო მუზაე!
ბეეედრები, ვითა მწირი;
შენ წინ მოვალ მუხლ-მოდრეკით,
შემიბრალე, ჰხედავ, ესტირი;
მუდამ მხსნელად მიმაჩნიხარ,
ეხლაც მომაშორე ჭირი
არ გამხადო სასაცილოდ,
არ შემექნეს სიტყვა ძვირი.

*

ვხედავ რუსთველს, მდიდარია,
ქონება აქვს დაუთვლელი.
რომ მივიდე, დავესესხო,
რით ვიქნები გადამხდელი?
მოვიპარო, წამოვიღო,
ვექმნე მიჯნურს საყვედრელი
თუ არა და, მე უშენოდ
შევიქმნები საძრახველი.

15 სეკტემბერი 1882. ჯორტოსა.
ასალ-სენაკი

სატრფოსადმი.

სუსტ არსებს ბოროტ მძლავრი
ხშირად უსპობს თვით-უფლებას.
სხვის წვალებით უგუნური
მიეცემა ნეტარებას.

*

ბუშინ ვნახე მეზობლისას,
ყვანდათ ჩიტი დაჭერილი.
ბარს ეხვევენ ბიჭ-ბუჭ-ბუჭა,
იყო ყველა მხიარული.

*

მაგრამ ჩიტი საცოდავი,
თვით-უფლებას მოკლებული,
ფრთხალებდა გალიაში,
ვით უძლური, ვითა წყლული.

*

ამით ყველა, ვინც იქ იყო,
ხარხარობდა მხიარულად.
მე კი მათი უმეცრება,
ბულსმომედო, ცეცხლებრ მწველად.

*

ნეტავ როდის მოვესწრებით,
მოვესწრებით იმ დღეს ნეტარს,
უსამართლოდ დაჩაგრულებს,
რომ ულებდნენ გალიის კარს.

4 ოკტომბერი. ჯორტოსა.
სენაკი.

ხალხური შაირები და გამოცანები

შე დალოცვილო საყდარო,
რად გინდა ორი კარები,
შედიან და გამოდიან
თავდახურული ქალები.

—

ღმერთი დიდად გაისარჯა
ჩვენი გამოსახვისათვის,
ახლო ახლო დაგვასახლა
ერთმანერთის ძრახვისათვის.

—

ახალი პატარძალი ვარ,
საქმე ვერ მომიგონია,
ჩიქილით სახლსა დაეგვიდი,
ცოცხი ვერ მომიგონია.

—

ბათუმის სკოლის საქმე

გასულ ნოემბრის დამლევს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მმართველობის მინდობილობით, ამ მმართველობის წევრი ს. მესხი გაგზავნილ იყო ბათუმში იქაურ სკოლის საქმეების დაწვრილებით გასაგებად და ადგილობრივ ბეგებთან მოსალაპარაკებლად სასკოლო ადგილის მოპოების თაობაზედ. დაბრუნებისათანავე ს. მესხმა წარუდგინა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მმართველობას თავის მინდობილობის ანგარიში, რომელიც აქვე მოგვყავს:

„წერა-კითხვის“ მმართველობის წევრის ს. ს. მესხის მოხსენება ბათუმის სკოლის თაობაზედ

ნოემბრის დამდეგს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მმართველობას ბათუმის სკოლის მასწავლებლის ბ. ნათაძისაგან მოუვიდა ცნობა, აქაურ ბეგებმა და საზოგადოდ მაჰმადიან ქართველებმა სურვილი გამოაცხადესო, რომ თავიანთი შვილები ჩვენს სკოლაში შემოიყვანონ, ადგილი მოგვცენ ამ სკოლისათვის და ამას გარდა თვითონ შენობის აგებაზედ დაგვეხმარონ.

ამ სამო ამბების დაწვრილებით გასაგებად, სკოლის გარემოებისა და ვითარებისა ადგილობრივ შესატყობად გამგზავნა მე მმართველობამ ქ. ბათუმში. მოგახსენებთ ახლა, როგორ შევასრულე ეს მონდობილება მმართველობისა.

ბათუმში ჩასვლისათანავე, ბ. ნათაძის საშუალებით, გავიცანი ყველა ის პირები, რომელთაც ბათუმში და საზოგადოდ ბათუმის მხარეში, გავლენა აქვთ, და ყველაზე პირველად ამათთან მქონდა ლაპარაკი და სჯა როგორც საზოგადო ჩვენს და იმათ საქმეებზედ, აგრეთვე კერძოდ იმათ დაპირების შესახებ, რომ სკოლისათვის ადგილს მივცემთ, „წერა-კითხვის საზოგადოებასა“, თვითონ სკოლასაც აუშენებთ და ჩვენ შვილებსაც მოგაბარებთო. სასიამოვნო შედეგი ამ ლაპარაკისა იყო ის, რომ მე დავრწმუნდი იმათ გულ-წრფელ მოქმედებაში, რომ იმათ მართლა ჰსურთ იქონიონ საქმე ჩვენს საზოგადოებასთან, სკოლისათვის ადგილი მოგვცენ და სასკოლო სადგომის აგებაშიაც დაგვეხმარონ.

როდესაც ეს რწმენა, მივიღე, ახლა ფორმალურად საქმის სისრულეში მოყვანას შევუდექი და აქაც დავინახე სიამოვნებით, რომ ესენი, მარტო სიტყვით კი არა, თვით საქმით მზად იყვნენ აესრულებინათ თავიანთი სიტყვა და დაპირება.

ადრე, რუსის ჩასვლამდინ ბათუმში, მაჰმადიანებს ჰქონდათ იქ თავიანთი საკუთარი სასწავლებელი, რომელსაც ორას ოთხ-კუთხ საჟენზედ საუკეთესო ადგილი ეჭირა ზღვის ნაპირზედ. ეს ადგილი რუსის მთავრობამ წაილო დამოქნისათვის და იქ რომ მაჰმადიანთ სკოლა იყო, ის კი დაანგრია.

ახლა ბათუმის ბეგები და საერთოდ ყველა მაჰმადიანები თხოულობდნენ, რომ ან ამ ადგილის ფასი მოგვეცესო და ან ამის საფასური ადგილი ბათუმის რომელსამე უბანშიო.—ეცადეთ, ამოიგეთ ეს ადგილიო ან იმის სამაგიერო სხვა ადგილი გამოართვით მთავრობასო, ჩვენ ეს ადგილი დაგვითმია „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ და ჩაიბარეთო.

ზემოხსენებული ადგილი უკანასკნელი ათას თუმნად ღირს. მაგრამ, რადგან მთავრობას ფულის მოცემა გაუძნელდება, როგორც დამარწმუნეს იქაურ ზოგიერთ ადმინისტრაციის პირებმა, რომელთანაც ამ საგანზედ ლაპარაკი მქონდა, ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ ადგილის მაგიერ ადგილისვე თხოვნა. აქვე წარმოვადგენ პირს ამ თხოვნისას, რომელიც ამ საგნის შესახებ მიეცა ბ. ბათუმის სამხედრო გუბერნატორს. თხოვნაზე, როგორც დაინახავთ, აქვთ ხელი მოწერილი 47 გავლენიან და საპატიო პირთ. ყველა ამით ერთ ხმად სურვილი გამოაცხადეს, რომ ამ ადგილს ჩვენს საზოგადოებას დაუთმობენ ჩვენი და ამათი სკოლისათვის.

მართალია, უკეთესი იქნებოდა, რომ ამ გვარი ქაღალდი ნოტარიუსის წესით ჩამოერთმია მე ამათთვის, ამაზე ისინი დიდის კმაყოფილებით თანხმობას აცხადებდნენ. მაგრამ ეს ერთობ საძნელოდ შეიქნა,—რადგან თვითეული ამ პირთაგანი უნდა გამოცხადებულიყო ნოტარიუსთან, თითოეულს ცალკე ხელი უნდა მოეწერა და ამას ხარჯიც მეტი მოსდევდა. ყველა ამას გარდა მე დავეკითხე ბ. ვიცე-გუბერნატორს ბათუმისას თ. ნ. ბ. ერისთავს და სხვებსაც, ვის ხელშიაც ამ გვარი საქმეები ტრიალებენ და ყველამ მითხრა, რომ ამ გვარი ქაღალდი და ვექილობა სრულიად საკმაოა, ადმინისტრაცია ვალდებულია ადგილი მისცეს და უეჭველად მისცემს კიდეცაო.

საუბედუროდ, ადგილის ჩაბარება და მიღება მე ვერ მოვახერხე, ერთი იმიტომ რომ ერთობ ცოტა დრო დავყავი ქ. ბათუმში და მეორე, უმთავრესად, იმიტომ, რომ თვითონ ბ. ბათუმის გუბერნატორი იმ დროს პეტერბურგში იყო და ვიცე-გუბერნატორმა კი ვერ იკისრა თვის თავზედ ამ საქმის დაბოლოებით გარდაწყვეტა, მაგრამ მე სრულიად საიმედოდ და თითქმის გათავებულად [illegible] ეს სასკოლო ადგილის [illegible], რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ აქ საკუთარი ადგილი გვექნება სკოლისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ ბ. სმეკალოვის ჩამოსვლასთანავე, ერთი წევრთაგანი ჩვენის „საზოგადოებისა“ წავიდეს ბათუმში, ბეგებისა და სხვა გავლენიანი პირების დაკითხვით სამაგიერო ადგილი ამოარჩიონ და კანონიერად ჩაიბაროს.

საჭიროდ ვრაცხ მოვახსენო „საზოგადოებას“, რომ ამ საქმეში მე დიდი შემწეობა აღმომიჩინა ოთხმა ბათუმის უფრო გავლენიანმა პირმა: იბრაჰიმ-ბეგ აბაშიძემ, შაინ-ეფენდი ბოლქვაძემ, ჰუსეინ-ეფენდიმ და მარჯან-აღამ.

საკუთარი სკოლის აშენება ამ ადგილის შეძენაზედ არის დაკავშირებული, აი, როგორ: ზემოდ მოგახსენეთ, რომ ძველი ადგილი მაჰმადიან სასწავლებლისა უკანასკნელი ათას თუმნად ღირს-მეთქი ახლანდელის ფასით. ამ ადგილის საფასურ ადგილის მიღებას მოველით ჩვენ ადმინისტრაციისაგან. მაგრამ ათასის თუმნის მაგიერ ხუთას თუმნიანი ადგილიც რომ მივიღოთ, ჩვენთვის ესეც დიდია. ქალაქს აქვს ახლა თავისუფალი ადგილები ნურიის უბანში, სადაც ახალი მოსახლობა იწყობა, და სადაც თითქმის მარტო რუსის ჩინოვნიკობა დგას. უეჭველია, ჩვენ აქ მოგვცემენ ადგილს. აქ ოთხ-კუთხი საჟენი ხუთექვს მანეთზე ზევით არ ფასობს. მაშასადამე 700-800 საჟენს მოგვცემენ აქ. ეს ადგილი უეჭველად უნდა გაიყიდოს, რადგან მაჰმადიანთ უბნიდამ ძრიელ შორს არის და ტბების, სიახლოვისა გამო, უფრო ნოტიოცაა,—ამის გამო სკოლის აშენება აქ არ მოხერხდება. ბეგებმა დამარწმუნეს, რომ, თუ ხუთას თუმნიანი ალაგი

ქალმა ვაშლი შემომტყორცნა,
ამოილო უბიდანა,
ჩემეულად შემინახე,
არ გადმიგდო უბიდანა.

—

ჯოჯოხეთის ამბავს გეტყვი,
სათქმელად საზარელია,
მეტადრე ცოდვიანისა,
სულის ამოხდა ძნელია,
იქ არი ჭრელი გველია,
დედ-მამის მაგინებელსა,
ამხანაგის მოღალატეს
ზედ უძევს ენის წვერია.

—

დაილოცოს გაზაფხული,
ყველამ ამოიდგა ენა,
შაშვი ლობეზედ შემოჯდა,
დაიძახა ნელა-ნელა!...

—

ერთი კამეჩი გავყიდე
ქებითა და დიდებითა,
შევხედე, ისევ მოჰყავდათ
წყევლითა და გინებითა.

—

ქალაქისთანა ქალები
არ არის ქვეყანაზედა,
დამწკრივდებიან სუფრაზედ,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა.

—

მინდორშია დავდიოდი,
ალაგ-ალაგ იდგა ჭოჭი,
მე საწყალმა რა ვიცოდი,
თუ ის ქალი იყო კოჭლი.

—

ავი დარი წამოვიდა,
გამოუშვი კალოს ხარი,
ქალო, ერთი მაკოცნინე,
მინამ წაგიყვანდეს ქმარი.

—

არ მინდა მთაში მოყვარე,
ჩიქილა ჩამოფხატული,
ჯობია ქართლში მოყვარე,
ღვინო მოუვა წითელი.

—

მე ხომ ხობელი არა ვარ,
ცერცვი გავფინო ბანზედა,
მე ბერშუელი არა ვარ,
ბატონი მოვკლა კარზედა,
მე ხომ კირბლეული არა ვარ,
ქურდღელს მივდიო კვალზედა,
მე ხომ ზერტელი არა ვარ,
ნიორი მედგას კარზედა,
გახლავარ მეჯვრიხეველი,
ძაასხი ღვინო ჯამზედა.

გამოცანები.

მაღლიდგანა ელჩი მოდის,
პირი აქვს და ენა არა,
ორი დუმა მოუტანე,
წვენი ჭამე, ფოჩი არა [1]).

—

ხალიჩაში გავეხვიე
ეშმაკი და ქაჯივითა,
ჩონგურზედა ვათამაშებ
ძაი ვაჟი კაციივითა [2]).

—

უძლო, უფხო, ძელი ქაძელი,
მაძლება და გაგორდება [3]).

—

ერთი პატარა სოფელი,
გარ-გარა შემოღელებული,
ბევრჯერ მინახავს მორწყული,
არც ერთხელ აყვავებული [4]).

—

ალალმა დაიკაკანა,
გარს შემოისხა ბარტყები,
არც იყო იმის შვილები,
არც იმის დაჩეკილები. [5])

—

აბანოელი ბატები,
აბანოს ებანებოდა,
იმათი ნამუშევარი
ხემწიფეს ეკადრებოდა. [6])

—

იფლიფიონის საყდარი,
იფლიფიონს ეუბნება,
შევხედე და შემომხედა,
პასუხს არას მეუბნება. [7])

—

მაღლა ვზივარ ჩარდახშია,
წვერი მცვივა კალთაშია. [8])

—

შავია ყვავი არ არი,
თეთრია—ყველი არ არი,
კუდი აქვს—თაგვი არ არი [9])

—

ჩაჰხტა თათარი,
ჩაჰყვა ლაშქარი. [10])

—

მინდორს გავალ გალივითა,
ხმას გავილებ ზარივითა,
ყველა კაცმა შემინახოს
მარგალიტის თვალივითა. [11])

---

[1]) ბავშვი, [2]) სწყალი, [3]) წურბელა, [4]) ქვაბი, [5]) მღვდელი, [6]) წისქვილი, [7]) სარკე, [8]) საჩეჩელი, [9]) ბოლოკი, [10]) კრუხ-წიწილა, [11]) ცხვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღეთო, ორას თუმნად ძალიან კარგ ალაგს (არა ნაკლებ 400 ოთხკუთხიან საჟენისა) გიყიდით ჩვენს უბანთან („Ахмелиевъ") მახლობლად და დანარჩენის სამასის თუმნით სახლის აშენებას შეუდგეთო. ამას დაუმატეს, რომ, რაც ხე-ტყე დაგჭირდებათ სახლის აშენებისათვის, ჩვენ შემოგწირავთო და ოლონდ სკოლა გვიმართეთ კარგად, სხვა შემწეობასაც, რაც შეგვეძლება, არ მოგაკლებთო.

ამ ნაირად, თუ ჩვენი მმართველობა ენერგიულად მოიქცევა, უეჭველია, ამ ერთს-ორ თვეში სასკოლო-ალაგს მოიპოვებს და მომავალ ენკენისთვეს თავის საკუთარ შენობასაც ააგებს ბათუმში სკოლისათვის. ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციაში, ანგრეთვე მცხოვრებლებშიაც თანამგრძნობნი და დამხმარებელნი ჰყავს ჩვენს „საზოგადოებას".

რაიცა შეეხება ჩვენს აქაურ სკოლას, ათის დღის განმავლობაში, თითქმის მუდამ დღე დავიარებოდი ბ. ნათაძის გაკვეთილებზედ და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოვიტანე. ბ. ნათაძე, როგორც ეტყობა, გამოცდილი მასწავლებელი: ამასთანავე ძრიელ მუყაითი და ერთგული თავის საქმის და უყვარს კიდეც ეს საქმე. შაგირდები დიდის ხალისით დადიან სკოლაში, გაკვეთილების დროს ყურადღებით უსმენენ თავიანთ ოსტატს და ცოცხლად, თამამად უგებენ ყოველს კითხვაზე პასუხს. ერთის სიტყვით, ბ. ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი, თუ შემდეგშიაც ისე კეთილ-სინდისიანად წაიყვანა თავისი საქმე, როგორც დღემდინ მიჰყავს.

ერთი საკეთილო თვისებაც შევნიშნე ბ. ნათაძეს: იმას კეთილი განწყობილება გაუმართავს, შეთვისებია და დაახლოვებია ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს და ეს დიდ ღირსებად ჩაითვლება ბათუმის სკოლის მასწავლებლისათვის.

სხვათა შორის მმართველობამ მამანდო მე კიდევ, „თუ შესაძლოდ დაინახოთ, შავშეთშიაც ახვიდეთ და სკოლის გახსნის თაობაზედ შეკრიბოთ საჭირო ცნობები". საუბედუროდ, ბათუმში ერთობ დიდ ხანს მომიხდა დარჩენა (10 დღე) და დრო აღარ მქონდა შავშეთშიაც წავსულვიყავ; ამის გამო ეს მონდობილება მმართველობისა ვერ შევასრულე.

ბათუმში მყოფობის დროს გავიცანი ერთი ქალაქის დეპუტატთაგანი, რომელსაც ვკითხე: იქნება ქალაქმა მოინდომოს და რაიმე შემწეობა მოგვცეს ჩვენი აქაური სკოლისათვისა-მეთქი? ეს დეპუტატი დაეკითხა დანარჩენს ოთხს ამხანაგს და როგორც გადმომცა, ამათ ეთქვათ, საზოგადოებამ ქალალდი შემოიტანოსო და იმედია, 1000 მ., თუ არა 500 მან. მაინც შეიძლებთ მუდამ წელიწადს შემწეობა მოგცეთ ბათუმის სკოლას. აჰის გამო მე შემომაქვს წინადადება, რომ ბათუმის ქალაქის დეპუტატებს გაუგზავნოთ ქალალდი და ვსთხოვოთ ჩვენი სკოლისათვის სუბსიდია. ამის კეთილად შესრულების იმედი მით უფრო მაქვს, რომ ქ. ბათუმს დიდი შემოსავალი აქვს, 1,500 მან. აძლევს ის მუდამ წლიურ სუბსიდიას იქაურ ნორმალურ სკოლას და ჩვენი შემწეობაც არ გაუჭირდება და ადმინისტრაციაც არ დაბრკოლებს ამ გვარ საქმეში.

ტფილისი, 17 ქრისტიშობისთვეს.

განცხადებანი

1883 წ. 7 იანვარს

თბილისის კრუეოკში იქნება

ბალი

სასარგებლოდ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადებისა.

დაიწყება დაძის 9 საათ.

(9—2)

ექიმი—ბებია

ნ. დ. ბავროლნსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით **დედაცთა და ბავშვების** სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—10)

ვ. შავერდოვის გაზეთის საგენტოში ტფილისში (ბოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც. (20—19)

Вышла въ свѣтъ книга:

СВЯТѢЙШІЙ СУНОДЪ ПРИ ПЕТРѢ ВЕЛИКОМЪ

въ его отношеніи къ правит. сенату.

Историческое изслѣдованіе Ѳ. Жорданія. Цѣна 1 р. 50 к. За пересылку прилагается 20 к. Продается въ книжномъ магазинѣ Грикурова. (10—)7

ვაიცემა იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. უვარელში. საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, ტყე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სასლი, მარანი და ეზოელი საოჯახო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფოჩტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—8)

გუნიბის მოედანზე

მომავალ დღესასწაულებში იქნება

გამოფენა სურათებისა

ყველა სურათები საუკეთესო საფრანგეთის ხელოვნებისანი, მშვენიერად დასურული არიან ზეთის კრასკებია და იმედი მაქვს, დავიმსახურო მადლობა და ყურადღება პატივცემული საზოგადოებისა.

იქვე, ამას გარდა შეიძლება ნახვა, მუდამ დღე 10 საათ. დილის სადამოს 11 საათ.

შესანიშნავი

ფენომენისა

ქალიშვილი ელიზა, იშვიათი, საოცარი საკვირველება ამ საუკუნისა, რომელსაც დაბადებიდამ აქვს 12 წ. და იწონის-კი 478 გირვ., ე. ი.—11 ფუთ. 38 გირ., სიერცე ბეჭებისა 3 ადლი და 2 გოჯი, წელში 3 ად. 6 გოჯ.

ეს ფენომენი უჩვენებიათ ბერლინში, ვენაში, დრეზდენში, პარიჟში, პეტერბურღში, ხარკოვში და ქიეევში.

ბერლინის პროფესორთა: ვირხოვის, ლანგენბერგის და სხვ. შემოწმებით ეს ფენომენი უნდა წარმოვდგარიყო ტყუპებისაგან.

რადგან ვგვეთი ფენომენის შეძენა მე მეტად ძვირად დამიჯდა, იმედი მაქვს, საზოგადოება ყურადღებას მომაქცევს. (2—1)

ნამდვილი საკერავი მაშინები ზინგერისა



სასარგებლო საჩუქარი

საშობაოდ

ახალის მოწყობილობით, აქვს ჩუმად ძრავ-ეფექტიანი ბორბლებზე, ულარალო და მაგარი მეხანიზმი, საუკეთესო და მრავალ-გვარ სამუშაოს აღმასრულებელი მაშინებია ოჯახში მოსახმარად და აგრეთვე ხელოსნებისათვის.

სრული გარანტია:

31 წლის არსებობა ფაბრიკისა, თან-და-თან უფრო ბევრი ისყიდება, შარშან 561,000 გაისყიდა, სულ ხუთ მილიონამდინ გაგვისალებია, მაყიდველს შეუძლია კვირაში ორი მან. შემოიტანოს მაშინის ფასი.

ვასწავლით და ყუთში ვაკეთებთ უფასოდ.

თან-და-თან ბევრი მაშინების გასყიდვა ამტკიცებს, რომ კარგი რამ ყოფილა.

ბ. ნეიდლინგერ, ტფილისში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახ. (4—4)

შობის დღესასწაულების განმავლობაში.

ბეკკერის თეატრი

ბუნიბის მოედანზედ.

მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაჩადებით.

შაბათს 25, კვირას 26 და ორშაბათს 27 დეკემბერს

გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან

პროფესორი ბეკკერისგან

წარმოდგენილი იქნება მუდამ დღე ორ-ორი დიდი

ფანტასტიკური გამოჩენება.

ყოველი წარმოდგენა შესდგება ახალი პროგრამისაგან, საკვირველ გამოჩენებ თაგან და ხვათა შორის წარმოდგენილი იქნება ჯერ აქ არ ნახული

სულთა და აჩრდილთა გამოხმობა

ანუ

მცენარენი მკვდართაგან

ფასტარ ეოი სცენები, ლანდისებრ მოჩვენებით და განქრობით სულთა, მოჩვენებათა, აჩრდილთა, ჩონჩხთა, ეშმაკთა, ვიჭთა, სატანათა და ჯანდაბათა.

ამ წარმოდგენებით გაკვირვებას მოსდიოდა მთელი დედამიწის ქალაქები.

დაწვრილებით ცნობანი აფიშებში.

დღის წარმოდგენები დაკლებულის ფასებით, დაიწყება 12 საათზ. შუადღისა; საღამოსი, ჩვეულებრივის ფასებით, 8 ს. საღამოისა.

ანონსი. ბ. ბეკკერის წარმოდგენები ტფილისში 6 იანვრამდის გაგრძელდება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Декабря 1882 г. Типографія Мсликова

გამომცემელი ს. ...ეფიანი. რედაქტორი ს. ...